

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო ქალაქო, ჩემო ქარგო, რაღ გვინდა ტაუნი!“

რა პრობლემებს უქმნიან წყალტუმოს „მარკუტაჟი“ ქუთაისის საქალაქო ავტომუსხვებს



იხილეთ მე-3 გვერდზე

ფარიღან სუფრაზე



სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ №4

№1 (740) 31 იანვარი - 14 თებერვალი, 2016 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

ქურნალისტის ფიქრები ქუთაისზე



ნანული ცხვედიანის წიგნი „გახსოვს, ქუთაისო?“

„ერთ დღეს, ბიბლიოთეკაში რომელიღაც თემაზე მუშაობისას, აღმოვაჩინე, რომ ჟურნალ-გაზეთთა გაყვითლებულ კომპლექტებში გაბნეულ ჩემს ძველ პუბლიკაციებში საკმარისად იდო ის ღირებული დოკუმენტური მასალა, რომლის დაკარგვა, ალბათ, დასა-ნანი იქნებოდა და რომელიც დროსთან თანაფარდობით უნდა მომეტანა ახალი თაობის მკითხველთან — ქალაქური ყოფითა და კულტურით, საზოგადოებრივი მოვლენებითა და ტრადიციებით, მწერლობითა და ხელოვნებით, უბრალოდ, ქუთაისის ისტორიით დაინტერესებულ ახალგაზრდობასთან.“

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გაზეთი „P.S.“ - ის წიყრწრები და „ინცოროიყოლი“ წახუჯარი ერთგულო მკითხველოებს

ჩვენი ძვირფასო და ერთგულო მკითხველო, თუ ამ წერილს უკვე კითხულობ, მაშინ ჩვენი სი-ურბრიზიც და ისტორიაც ხელთ გიპყრია. დღეიდან ჩვენი გაზეთის მკითხველები ყოველ ახალ ნომერთან ერთად, საჩუქრად გაზეთი „P.S.“-ის 20-წლიანი ის-ტორიის სხვადასხვა ნაწილსაც მიიღებენ. იმ ნაწილს, რომელიც აქამდე სარედაქციო არქივში ინახებოდა და დღეს, ახალთან ერთად, კვლავ თქვენი ცხოვრების ნაწილად იქცევა.

ამ სარედაქციო სვეტს დღეს განსაკუთრებული სიყვარულით, პატივისცემით და მადლიერებით ვწერ. ვწერ მათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ აქცია ზურგი ურ-ნალ-გაზეთების კითხვას და სრულად არ ჩაიძირა კომ-პიუტერულ სამყაროში, ვინც დღემდე ჩვენი გაზეთის „P.S.“-ის („პოსტსკრიპტუმის“) გულშემოტკივარი და ერთგული მკითხველია.

ღიას, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ინტერნეტისა და ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ტრადიცი-ულ ბეჭდურ მედიას მხოლოდ ისტორიის ნაწილად აქ-ცევს და მის სამომავლო პერსპექტივას წერტილს უსვამს. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობენ ჩვენნაირი „ახირებული“ ადამიანები, რომლებიც ჯიუტად, ყოველგვარი შემო-სავლელისა თუ ე.წ. გრანტების გარეშე აგრძელებენ ბეჭდური გაზეთის გამოცემას და ერთგულ მკითხვე-ლამდე მიტანას.

ამავე დროს, ჩვენ, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ დროს და ინტერნეტული-ტორიისთვის ვაკეთებთ ყოველდღიურ საინფორმაციო ინტერნეტგამოცემას www.psnews.ge-ს. თუმცა, ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ უარი ვთქვათ იმ ერთგულ მკითხველზე, რომელთაც ნაბეჭდი გაზეთის წაკითხვა სურთ. თანაც, სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით, ისიც ფაქტია, რომ ჯერჯერობით საქართველოში მო-სახლეობის ძალიან მცირე პროცენტს მიუწვდება ხელი ინტერნეტზე...

სწორედ ამიტომ ჩვენი და თქვენი გაზეთი „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“), თავისი 20-წლიანი ისტორიით, ძველისა და ახლის შერწყმით, კვლავ თქვენთვის აგრძე-ლებს სიცოცხლეს, რათა ყველამ ერთად, ვისაც გაზეთის ხელში აღება და კითხვა გვიყვარს, თამამად ვთქვათ: „პოპულა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

დიდი სიყვარულით, თქვენი ნათო გუბაძეძე, მთავარი რედაქტორი

უღიმიტო *220*05#

4G: პაპიშო პოლიცეს, შალოში

უღიმიტო ზარანი ბილაინის ქსელში

უღიმიტო SMS-ი

1 GB

+ უფასო WhatsApp

გვიღიონ!

ბილაინის აპლიკაცია

ბილაინის აბონენტები უღიმიტო 4G ინტერნეტს თვეში მხოლოდ 5 ლარად მიიღებენ!

აქცია „უღიმიტო ინტერნეტის“ გასააქტიურებლად აბონენტმა უნდა აკრიფოს *120*16#.

მოქმედების ვადაა 30 დღე.



PS news.ge

ISSN 1987-7056



9 7 7 1 9 8 7 7 0 5 0 0 4

ქუთაისის მერმა ღვანდომოსილი ქუთაისელი დააჯილდოვა

ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ სს ქუთაისის „ცენტრალური ავტოვანგ ზალი“-ს დირექტორის მოადგილე, სულიკო ფუტყარაძე დაწვინდომილი ქუთაისელის საბატო სიგელით დააჯილდოვა.

ეს ჯილდო ბატონმა სულიკომ დაბადებიდან 70 წლისა და სატრანსპორტო სფეროში 40-წლიანი ნაყოფიერი მუშაობისთვის დაიმსახურა. ვულკანთა ბატონ სულიკოს ამ აღიარებას და მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ.



„ჯორჯიან მანგანეზი“ სპეციალურ რეჟიმზე გადავიდა

საერთაშორისო ბაზარზე „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ წარმოებული პროდუქციის ფასი კატასტროფულად დაეცა, რასაც დაემატა ნედლეულის ჰარბი მარაგების წარმოქმნა და გაყიდვის კლება.

ამის გამო შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ მდინის მოპოვება-გადამუშავების პროცესი სპეციალურ რეჟიმზე გადაიყვანა, რაც გაგრძელდება მიმდინარე წლის 20 იანვრიდან 20 მაისამდე. როგორც კომპანიაში აცხადებენ, მათი თანამშრომლები მიიღებენ სამუშაოს შესრულების გარეშე ფიქსირებული სატარიფო განაკვეთის 60%-ს. ასევე, მუშებს არ ეზღუდებათ სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება კომპანიის გარეშე. სამთოელებსა და მისი ოჯახის წევრებს შეუწარმუნდება სადაზღვევო პაკეტი სრულად, მოქმედი დანამატი მრავალშვილიან ოჯახებს არ შეეზღუდებათ, მიმდინარეობს მოლაპარაკება სესხების რესტრუქტურისა და სესხების მომსახურე ბანკებთან, ასევე კომპანიიდან ავანსის სახით მიღებული ანაზღაურების დაქვითვა დროებით შეჩერდება.

როლანდ ხოჯანაშვილი

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

დირექტორი: ირმა ბახუტაშვილი ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსერვიცი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთი „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: UDC (უაკ) 3+321 (479.22) (054) კ - 658 P - 86

მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.

• (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46. • psnews27@gmail.com • www.psnews.ge



ნინო ობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქუთაისის მერიაში ჟურნალისტი ნინო ლაჭავა გაიხსენეს

ნინო ლაჭავას დედას, თამარ ლაჭავას, რომელიც ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომელია, ქალაქის მერმა შოთა მურღულიამ მერიაში უმასპინძლა, ნინო ობის მიულოცა და საჩუქარი გადასცა. ნინო ლაჭავა 2010 წელს, 41 წლის ასაკში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მან მუშაობა ტელეკომპანია „რიონში“ დაიწყო. სხვადასხვა დროს იყო ტელეკომპანია „ივერი-

ონის“ და „იბერივიზის“ ქუთაისის ფილიალის კორესპონდენტი. წერდა რამდენიმე პერიოდულ გამოცემაში. 1999 წლის დეკემბრიდან იყო რადიო „თავისუფლების“ ქუთაისის კორესპონდენტი და რეგულარულად მონაწილეობდა რადიო „თავისუფლების“ ყოველკვირეული პროგრამის „რეგიონული მაცნის“ მომზადებაში. 2007 წლიდან 2010 წლის ჩათვლით, იმერეთის რეგიონში პირველი არხის საინფორმაციო პროგრამის კორესპონდენტი იყო.



ქუთაისის 2016 წლის ბიუჯეტის პირველი სვლილება უკვე განისაზღვრა

გასულ წელს მიღებული ნაშთის სახით ბიუჯეტში საკრებულომ 6 700 000 ლარიანი ცვლილება დაამტკიცა. აღნიშნული თანხა პრიორიტეტულ პროექტებზე გადანაწილდა.

„ეკონომიების ხარჯზე მიღებული დანაზოგითა და 2015 წლის ბიუჯეტის ნაშთით, 2016 წელს ბიუჯეტში პირველი ცვლილება განხორციელდა. ჩვენ უკვე დამტკიცებული ბიუჯეტიდან დაზუსტებულ ბიუჯეტზე გადავდით. მინდა მადლობა გადავუხადო როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებას, რადგან ქაბრების შემოჭერის პოლიტიკა მათ სწორად გაიგეს და სოლიდური თანხები დაე-

ზოგეთ პრემიების ხარჯზე. ცვლილებამ, დაახლოებით, 6 700000 ლარი შეადგინა.“ — განაცხადა შოთა მურღულიამ. რაც შეეხება პრიორიტეტებს, არსებული თანხიდან 1 300 000 ლარი ბაღებს დაემატა. საიდანაც, დაახლოებით, ნახევარი მილიონი ბაღებში ცხელი წყლის სისტემის დამონტაჟებას მოხმარდება, დანარჩენი კი ხელფასებს, ასევე გაიზრდება კულტურულ დაწესებულებათა თანამშრომლების და ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ხელფასები. თანხები გადანაწილდა ინფრასტრუქტურულ და კულტურულ პროექტებზე.



გუბერნატორის ადმინისტრაციის 2015 წელს პრემიის და სახელფასო დანამატის სახით 1 114 928.69 ლარი გაიხსნა

2015 წელს სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით 1 114 928.69 ლარი გაიხსნა, მათ შორის პრემია — 463 817.5 ლარი, სახელფასო დანამატი კი — 680 111.19 ლარი. ამის შესახებ ინფორმაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ აქვეყნებს. ორგანიზაციის ინფორმაციით, 2012-2014 წლებთან შედარებით, შემცირებულია პრემიების გაცემის სიხშირე და ოდენობა, თუმცა 2015 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სახელფასო დანამატის გაცემის მაჩვენებელი.

მანძილზე პრემიისა და დანამატის სახით გაცემული თანხის ჯამური ოდენობაა ასახული, — ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“-ს კვლევაში. ორგანიზაციის ინფორმაციით, 2015 წელს პრემიის სახით ყველაზე დიდი თანხა 63 960 ლარის ოდენობით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციამ

მიიღო; 2015 წელს სახელფასო დანამატის სახით ყველაზე დიდი თანხა გაიხსნა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში — 167 712.26 ლარის ოდენობით. კვლევის მიხედვით, 2015 წელს გაცემული პრემიისა და სახელფასო დანამატის საერთო მაჩვენებელიც პირველ ადგილზე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ად-

მინისტრაცია (204 769.76 ლარი). „2015 წელს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის, პარმენ მარგველიძის სახელფასო დანამატის სახით დაერიცხა 35 400 ლარი, პრემია კი — 2 950 ლარი (საერთო ოდენობა — 38 350 ლარი); გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, რომელიც ამ თანამდებობაზე 2015 წლის მაისიდან იმყოფება, 2015 წელს სახელფასო დანამატის სახით მიიღო 22 668 ლარი, პრემია კი 2 950 ლარის ოდენობით; გურიის გუბერნატორის გია სალუქვაძის მოადგილემ, ქეთევან მოისწრაფიშვილმა, რომელიც 2015 წლის მაისამდე გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იყო, 2015 წელს სახელფასო დანამატი 12 732 ლარი, ხოლო პრემია 2 360 ლარი მიიღო. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დიდი ალბათობით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე გურიის გუბერნატორების მსგავსად, სახელფასო დანამატს ყოველთვიურად იღებდნენ სხვა გუბერნატორებიც.“ — ნათქვამია კვლევაში.



მთავრობა ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ რეგიონებში საინფორმაციო კამპანიას გეგმავს

საქართველოს მთავრობა ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ, მოქალაქეების ინფორმირების მიზნით, რეგიონებში მნიშვნელოვანი კამპანიის განხორციელებას გეგმავს — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 55-ე სხდომაზე განაცხადა, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში მიმდინარეობს.

„ჩვენ გვქონდა წინასწარი თათბირი იმის თაობაზე, თუ როგორ გავზარდოთ საქართველოს რეგიონებში ევროკავშირის სხვადასხვა პროგრამის ხილვადობა და სტრატეგიული კომუნიკაცია გავაძლიეროთ ამ მიმართულებით. ვაპირებთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი კამპანია დაიგეგმოს ყველა მიმართულებით, რათა საქართველოს მოქალაქეებმა იცოდნენ იმ ძალიან მნიშვნელო-

ვანი დახმარების პროგრამების შესახებ, რომლებიც ჩვენ გვაქვს ევროკავშირის მხრიდან სხვადასხვა მიმართულებით — ეს არის ინსტიტუციური განვითარების, საკანონმდებლო რეფორმების, „თვინინგის“ პროგრამები; სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამები; იკოდინგ და ჰქონდეთ ინფორმაცია, რა სიკეთეები მოაქვს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს, თუ როგორ

ხდება ქვეყნის ტრანსფორმაცია იმ მიმართულებით, რომ საქართველოში ცხოვრება უკეთესი იყოს, შესაძლებლობათა სპექტრი გაფართოვდეს ნებისმიერი ადამიანისათვის, იმისთვის, რომ მიიღოს უკეთესი განათლება, იმისათვის, რომ კომპანიებმა მოახდინონ ექსპორტი ევროპის ბაზრებზე და ა.შ.“ — განაცხადა კვიციანიშვილმა.

